ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №53

6 მარტი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში არსებული, გამგეობის ბალანსზე რიცხული ყოფილი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარებისა და ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზებული, გამოუყენებელი და უვარგისად ქცეული ქონების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიუს 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის23 ივლისის №605 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში არსებული, გამგეობის ბალანსზე რიცხული ყოფილი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარებისა და ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზებული, გამოუყენებელი და უვარგისად ქცეული ქონების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით შეიქმნას საინვენტარიზაციო კომისია შემადგენლობით:

- ქეთევან გიორგაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;
- ანა შარაშენიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ტურიზმისა და კურორტების საკითხებში – წევრი;

- ლელა მდინარაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში – წევრი;

- მაია მელუა – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი – მოწვევა;

- მალვინა ბერაძე – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე – მოწვევა;

- ნინო რამიშვილი – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი – მოწვევა;

- ქეთევან კოტრიკაძე – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის მთავარი ბუღალტერი – მოწვევა;

- ლია შარაშიძე – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი – მოწვევა;

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ყოფილი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია ჩატარდეს შემდეგ ტერიტორიულ ორგანოებში:

ა) ნაბეღლავის ტერიტორიული ორგანო: ნაბეღლავის ბიბლიოთეკა; ქვაბღის ბიბლიოთეკა; ჩხაკაურის ბიბლიოთეკა; თავპანტის ბიბლიოთეკა;

ბ) შუა ამაღლების ტერიტორიული ორგანო: შუა ამაღლების ბიბლიოთეკა;

გ) ერკეთის ტერიტორიული ორგანო: ერკეთის ბიბლიოთეკა, ქვემო ერკეთის ბიბლიოთეკა;

დ) გოგოლესუბნის ტერიტორიული ორგანო: გოგოლესუბნის ბიბლიოთეკა;

ე) ჩაისუბნის ტერიტორიული ორგანო: სოფ. ვაზიანის ბიბლიოთეკა;

3. კომისიამ ოთხი თვის ვადაში წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტაცია.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მისამართი: ჭავჭავაძის ქ. №4

5.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*